

რეცენზია წიგნზე: ლუიჯი მაგაროტო. საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801). იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა. გამომცემლობა “მწიგნობარი”. თბილისი, 2008 წ. 218 გვ.

საქართველოს ისტორიაში XVIII ს-ის ბოლო და XIX ს-ის დასაწყისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ბედი. ეს არის საქართველოს მოქცევის ხანა რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში, რომელიც დასრულდა იმპერიის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვა ნაწილების ანექსიით.

ისტორიულ მეცნერებაში ამ ეპოქის შესახებ ბევრი დაწერილა, თუმცა რუსეთის პოლიტიკის შეფასება საქართველოს მიმართ, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებებით ხასიათდება. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კონცეფციის მიხედვით, რომლის ამოსავალ “წერტილს” წარმოადგენს ოფიციალური რუსეთის პოზიცია ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთებასთან დაკავშირებით, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და საქართველოს ტერიტორიის ანექსია გამოწვეული იყო ქართველების თხოვნით და რუსეთის მესვეურთა ზრუნვით ქართველ ხალხზე, რათა იგი ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნათ მუსლიმანური გარემოცვის პირობებში.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს კონცეფცია გაბატონებული იყო XX საუკუნის დასაწყისამდე. მხოლოდ ზურაბ ავალიშვილის ნაშრომში “საქართველოს შეერთება რუსეთთან” (პეტერბურგი, 1901) აღინიშნა ხაზგასმით, რომ ქართველები 1800 და 1801 წლებში ითხოვდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას საკუთარ მეფესთან ერთად (ე.ი. ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით), მაგრამ რუსეთმა ეს მოთხოვნა მიიღო თავისი, ანუ რუსული რედაქციით: როგორც სრული ქვეშევრდომობის თხოვნა. აქედან იშვა უპირობო შეერთება, *annexion pure et simple*¹.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, 1919 წელს დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი – “დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში”, რომელშიც აღნიშნულ საკითხზე ოფიციალური რუსული ვერსიისაგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებაა. ქართველი მეცნიერის დასკვნით: “რუსეთის მთელი მოქმედება და პოლიტიკა საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო”².

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, განსაკუთრებით 1930-იანი წლებიდან, ისტორიოგრაფიაში “ზემოდან” დაწოლით კვლავ იმძლავრა დებულებამ 1801 წლის აქტის პროგრესული მნიშვნელობის შესახებ. ქართველი ისტორიკოსები, რომლებსაც მკაცრი ცენზურის პირობებში არ შეეძლოთ თავისუფლად გამოეხატათ თავისი პოზიცია, ზოგჯერ საკმაოდ წინააღმდეგობრივ და საკამათო შეხედულებებს აყალიბებდნენ. ასეთია, ჩვენი აზრით, თეორია “უმცირესი ბოროტების” შესახებ, რომლის მიხედვით რუსეთთან შეერთება, “მიუხედავად ცარიზმის ძალადობისა”, პროგრესული ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებას³.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ისტორიის მკვლევართა არსებითი ამოცანაა იმ პრობლემებზე მუშაობა, რომლებიც წინა ხანებში პოლიტიკური კონიუნქტურის გამო არ იყო სათანადოდ შესწავლილი. აქ, ცხადია, იგულისხმება ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიაც და, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის საკითხი.

ამ ფონზე იტალიელი მეცნიერის, ლუიჯი მაგაროტოს, მონოგრაფია – “საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801)”, ამ აქტუალური პრობლემის გაშუქების წარმატებული ცდაა.

ნაშრომის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი თავისი შრომის მიზეზებზე საუბრობს. მისი სიტყვით, ეს წიგნი დაიწერა იტალიელი ისტორიკოსების, სლავისტებისა და მკითხველი საზოგადოებისათვის, რომელთათვის უცნობია რუსულ-ქართული ისტორიული ურთიერთობების ნამდვილი სურათი. იტალიელ მეცნიერთა შორის “გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოს 1801 წელს საქართველოს შეერთება რუსეთთან თვითონ ქართველების მკაფიოდ გამოხატული თხოვნით მოხდა და საამისოდ მათ არავითარი პირობა არ წამოუყენებიათ” (გვ. 5.). ეს მცდარი თვალსაზრისი, აღნიშნავს ბ-ნი მაგაროტო, იტალიელმა ისტორიკოსებმა და სლავისტებმა რუსი ისტორიკოსებისაგან შეითვისეს, “რომლებმაც თავიანთი ავტორიტეტით ხელი შეუწყვეს იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში გამოცხადებული პროპაგანდისტული და უმართებულო თვალსაზრისის განმტკიცებას, თითქოს რუსეთმა საქართველო ქართველი მეფისა და ხელისუფლების კონკრეტული თხოვნის საპასუხოდ შეიერთა” (გვ. 5-6). მას შემდეგ “ფაქტების გააზრების ამ ტენდენციურ და მიკერძოებულ ვერსიას, რომელსაც რუსი ისტორიკოსები ცარიზმის დროს იცავდნენ, იმპერიული ველიკოდერჟავული მრწამსიდან გამომდინარე, ჯერ საბჭოთა, ხოლო ამჟამად – პოსტსაბჭოთა ისტორიკოსები მიუბრუნდნენ” (გვ. 6). რეალური ინფორმაციის არქონის გამო, ამ პროპაგანდისტულ ტყვეობაში უნებურად მოექცნენ, აგრეთვე, იტალიელი სლავისტები და, როგორც ბ-ნი მაგაროტო აღნიშნავს, “ამ შეხედულებამ იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ ასეთ მტკიცებას ამ ბოლო დროს იტალიაში გამოცემულ რუსული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სახელმძღვანელოშიც კი ვხვდებით” (გვ. 12).

განსახილველი ნაშრომის ძირითადი ნაწილი ორი თავისაგან შედგება: 1) “ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატი” და 2) “ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დასასრული”.

პირველი თავის დასაწყისში ავტორი მოკლედ აღწერს რუსულ-ქართული ურთიერთობებს XII-XVII სს-ში. შემდეგ შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრება, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში შექმნილი ქართული კოლონიების ისტორია, თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობა.

ქართლის და კახეთის მეფეები – თეიმურაზ II და ერეკლე II, ისევე როგორც იმერეთის მეფე სოლომონ I, ძალიან დაინტერესებულები იყვნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ ძლიერი მოკავშირის შეძენით. ასეთად კი მაშინ მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი ჩანდა. (დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელი გზები იმ დროს ოსმალების ხელთ იყო და, გარდა ამისა, ქართველთა ადრინდელი გამოცდილება, მიეპყროთ დასავლეთის სახელმწიფოების ყურადღება, უჩვენებდა, რომ ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ

დაინტერესებული შორეული საქართველოთი.) ავტორი ხაზს უსვავს ქართველების ერთგვარ პოლიტიკურ გულუბრყვილობას, რომლებსაც ეგონათ, რომ ერთმორწმუნეობა საკმარისი პირობა იყო იმისათვის, რომ რუსეთს მათთვის დახმარება აღმოეჩინა (გვ. 29). “ამგვარად, – წერს იგი, – სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1732 წლის შემდეგ მაინც, როდესაც იმერეთის მეფე ალექსანდრემ რუსეთის იმპერატორს – ანა ივანეს ასულს სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიამდე ქართველი მეფეები დაჟინებით მიმართავდნენ რუსეთს არზებით, პეტიციებითა და ზოგჯერ – დახმარების თხოვნით (გვ. 26).

ასე, მაგალითად, 1753 წ. თეიმურაზ II-ის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი ელჩობა მიზნად ისახავდა სამხედრო და ტექნიკური დახმარების მიღებას ქართული ჯარის განახლებისათვის და, აგრეთვე, ითხოვდა რუსეთს დიპლომატიური ზეწოლა განეხორციელებინა ოსმალეთის იმპერიაზე მოთარეშე ლეკების ასალაგმავად. რუსეთის მთავრობამ ქართველები მხოლოდ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა, თვითონ კი, ოსმალეთთან ურთიერთობა რომ არ გაეფუჭებინა, სტამბოლში თავისი მინისტრ-რეზიდენტის ალექსეი ობრესკოვის პირით ოსმალეთის მხარეს აცნობა, რომ რუსეთი საქართველოს არავითარ დახმარებას არ გაუწევდა (გვ. 26)⁴.

ვითარება იცვლება XVIII საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ოსმალეთთან დაწყებული 1768-1774 წწ. ომის პირობებში რუსეთი დაინტერესებული აღმოჩნდა გარკვეულად ხელი შეეწყო ქართველი მეფეებისათვის, რათა მათი დახმარებით კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ ახალი ფრონტი გაეხსნა. ერეკლემ და სოლომონმა ამაში ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების შესაძლებლობა დაინახეს და ომში მონაწილეობაზე დათანხმდნენ, მაგრამ მოტყუებული აღმოჩნდნენ. რუსეთს სურდა არა ქართული “პროექტის” განხორციელება, არამედ ქართული სისხლით რუსეთის საქმის კეთება, ამიტომ ამიერკავკასიაში ვითომდა ქართველების დასახმარებლად მცირე რაზმით ჩამოსულმა გენერალმა ტოტლებენმა მხოლოდ დაძაბა აქ ვითარება და ასპინძასთან ერეკლეს და მისი ჯარის გმირობა რომ არა, საქართველოს საქმე შეიძლება ძალიან ცუდად წასულიყო.

განსახილველი წიგნის მიხედვით, ქუჩუქ-კაინარჯის ზავის (1774) დადების შემდეგ, რომელმაც დაავიზრგვინა რუსეთის გამარჯვება ოსმალეთთან ომში, ისევ გამოჩნდა, რომ რუსეთის სამეფო კარი და საგარეო საქმეთა კოლეგია სრული გულგრილობით ეკიდებოდა საქართველოს ინტერესებს. “განიმტკიცა თუ არა სამხრეთის საზღვრები, – წერს ლ. მაგაროტო, – რუსეთმა ქრისტიანი ქართველები თურქთა აშკარა მოსალოდნელი შურისძიებისა და თარეშისათვის გაწირა და ამით ცხადყო, რომ სულაც არ აღელვებდა კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების ბედი” (გვ. 32). ამ ვითარებაში ოსმალთა დაშოშმინების მიზნით, ერეკლე იძულებული გახდა სულთნისათვის მეგობრობა და პატივისცემა გამოეხატა, რაც ოფიციალურად გაფორმდა კიდეც 1776 წლის ქართულ-ოსმალური ხელშეკრულებით (გვ. 32)⁵.

მაგრამ თანდათანობით, როგორც საგანგებოდ აღნიშნავს ავტორი, რუსეთის იმპერიის გულგრილი დამოკიდებულება მისი მეზობელი კავკასიური ქვეყნებისადმი საგრძნობლად იცვლება იმის გამო, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში ძველ თაობას თანდათან ახალი თაობის პოლიტიკოსები ენაცვლებიან. პოლიტიკოსთა ამ ჯგუფს სათავეში ედგა ეკატერინე II-ის ფავორიტი გრიგოლ პოტიომკინი, რომელმაც

უმაღლეს ხელისუფლებაში ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობები დაიკავა, რითიც შეძლო გაეტარებინა პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ავტორი “ევრაზიულს” უწოდებს. პოტიომკინი ევროპის ქვეყნებს აღარ განიხილავდა პრივილეგიებულ პარტნიორებად; მისი აზრით, “რუსეთის იმპერიის სტრატეგიული ინტერესებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები” (გვ. 34).

ავტორის ამ დებულებას ჩვენ დავუმატებდით, რომ რუსეთის გააქტიურება ამიერკავკასიაში XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ პოლიტიკოსთა თაობების ცვლით ვერ აიხსნება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო (თუ მეტად არა) ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის ჩამოყალიბება ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და წინაკავკასიაში, რაც ქუჩუქ-კაინარჯის ზავმა მოიტანა. რუსეთის იმპერია შავ ზღვაზე გავიდა; ოსმალეთის უმნიშვნელოვანესი ვასალი – ყირიმის სახანო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ მისი ანექსიის დასაწყისი იყო (1783 წ. ყირიმი საბოლოოდ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში)⁶.

რუსეთმა სერიოზულად განიმტკიცა პოზიციები ჩრდილო კავკასიის დაბლობზეც და 1780 წელს დაასრულა აქ კასპიის ზღვიდან აზოვის ზღვამდე გაჭიმული გამაგრებული ხაზის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენდა სამხრეთის მიმართულებით შეტევის ზღუდეს. 1774 წელს რუსეთის შემადგენელ ნაწილად იყო აღიარებული თანამედროვე ჩრდილო ოსეთიც და, ამდენად, რუსეთის პოლიტიკური საზღვარი უშუალოდ მოადგა საქართველოს (1784 წ. დაარსებული რუსული ციხესიმაგრე ვლადიკავკაზი სულ რამდენიმე კილომეტრით იყო დაცილებული სოფელ ჩიმს, აღმოსავლეთ საქართველოს მოსაზღვრე პუნქტს თერგის ხეობაში). ამითი ქართლ-კახეთის სამეფო უკვე რუსეთის მმართველი წრეების რეალური პოლიტიკის სფეროში ხვდებოდა. საქართველოსთან საერთო საზღვრის გაჩენა სახავდა მომავალში მისი ანექსიის პერსპექტივას.

ასეთ ვითარებაში 1783 წელს ხელი მოეწერა მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის.

გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ თხრობის დაწყებამდე, განსახილველ შრომაში საინტერესო ცნობებია მოტანილი ერეკლეს ცდებზე კონტაქტი დაემყარებინა დასავლეთის სახელმწიფოებთან (ავსტრია, ვენეცია, საფრანგეთი, სარდინია, ნეაპოლი, რომი) და მცირე დახმარება მიეღო მათგან ქართული ჯარის ევროპულ ყაიდზე მოწყობის საქმეში (გვ. 35-39). სამწუხაროდ, ამ ცდებმა შედეგი არ გამოიღო, მაგრამ ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ არსებული სიტუაციის მიუხედავად ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკაში ჩდილოეთის ვექტორი არ იყო ერთადერთი, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე.

1783 წლის ტრაქტატზე საუბრისას ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკატერინე II-ის მითითების თანახმად, ქართველი მეფეები უნდა მიჩნეულიყვნენ არა ქვეშევრდომებად, არამედ რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ მოკავშირეებად (გვ. 42).

ნაშრომის მეორე თავი – “ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დასასრული” მოიცავს პერიოდს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებიდან 1801 წლამდე, როდესაც ხსენებული ტრაქტატის პირობების დარღვევით რუსეთის მთავრობამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და მისი ტერიტორია იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად აქცია.

რუსეთის მფარველობაში შესვლამ ერეკლე II-ს მაჰმადიანი მეზობლები აუმხედრა. რუსების შიშით მას განუდგენ ამიერკავკასიის მოკავშირე ხანები, გაძლიერდა ლეკთა

თარეშიც. ლეკების მსუბუქი რაზმების შესაჩერებლად საქართველოს დასაცავად გამოგზავნილი ორი რუსული ბატალიონი ეფექტურ ძალას არ წარმოადგენდა, თუმცა ახალი რუსეთ-ოსმალეთის ომის (1787-1791) დაწყებისთანავე, პოტიომკინმა, ერეკლესთან შეუთანხმებლად, ეს ბატალიონებიც გაიყვანა საქართველოდან.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1783 წლის ტრაქტატით, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის მფარველობა მიიღო, ერეკლე II-ს სურდა ქვეყნის დაცვა ისეთი აგრესიული მეზობლებისაგან, როგორებიც იყვნენ ოსმალეთი და სპარსეთი (გვ. 87). ოსმალეთის იმპერია ერეკლეს ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლის დროიდანვე (1762) წარმოადგენდა საფრთხეს აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ირანი კი, რომელიც XVIII ს-ის შუა ხანებში პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო, თანდათანობით კვლავ გაერთიანდა. 1794 წელს მისი ერთპიროვნული მმართველი გახდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, რომელმაც უახლოეს მიზნად დაისახა ამიერკავკასიაში ირანის ყოფილი სამფლობელოების დაბრუნება.

ასეთ პირობებში ერეკლე თხოვს რუსეთის სარდალს ჩრდილო კავკასიაში, გენერალ გუდოვიჩს, ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ჯარების გამოგზავნას, მაგრამ გუდოვიჩი თხოვნას არ ასრულებს, რადგან მისი განცხადებით საფრთხე არარეალური იყო. ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალიც წერილობით ემუდარებოდა დახმარებას ეკატერინე II-ს. “მოკლედ, სასოწარკვეთილი ქართველები გამუდმებით ითხოვდნენ შველას მაშინ, როდესაც რუსეთის პოლიტიკური და უფრო მეტად – სამხედრო ხელმძღვანელობა არ მალავდა გულგრილობას მათი თხოვნისადმი”, – წერს ავტორი (გვ. 90).

ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა 60.000 მეომრით არეზი გადმოლახა და ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. 1795 წლის სექტემბერში თავისი არმიის მთავარი ძალებით ის უკვე თბილისთან იყო მოსული. რუსეთისგან მიტოვებული ერეკლე II ბრძოლაში დამარცხდა, სპარსელებმა თბილისი სასტიკად ააოხრეს და 15.000 ტყვე წაიყვანეს.

ლ. მაგაროტო აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მკვლევარი 1795 წელს საქართველოსათვის დახმარების არ აღმოჩენას რუსეთის მმართველი წრეების მზაკვრული გათვლით ხსნის, რომ აოხრებული ქვეყნის შემდგომი ანექსია უფრო გაადვილებოდათო. ავტორი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მისი აზრით, რუსეთის ხელისუფლთ პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ საქართველო აღარ მიაჩნდათ სტრატეგიული ინტერესებისათვის საჭირი ქვეყნად და, სამაგიეროდ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს იმ მშფოთვარე მოვლენებს ევროპაში, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციას მოჰყვა (გვ. 93-94).

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ (1798) ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა გიორგი XII, სუსტი და რეალურ გავლენას მოკლებული მმართველი. მისი მეფობის დროს აღმოსავლეთ საქართველო განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩავარდა. ასეთ ვითარებაში პეტერბურგში მომწიფდა აზრი ქართლ-კახეთის ანექსიის შესახებ. 1799 წელს თბილისში ისევ შემოვიდა რუსული ჯარი, რომელსაც მოჰყვა რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე – პ. კოვალენსკი. “კოვალენსკიმ, როგორც უბადლო ინტრიგანმა, – წერს ლ. მაგაროტო, – ძალღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლების შუაგულში შეეღწია და მალე ლამის ერთგვარი ვიცე-კანცლერი გახდა, რომელიც მეფის მიმოწერასაც კი აკონტროლებდა” (გვ. 102-103).

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800) შემდეგ რუსებმა მეფედ კურთხევის უფლება არ მიცეს არც ერთ ქართველ უფლისწულს, რაც 1783 წლის ტრაქტატის პირობების უხეში დარღვევა იყო. 1801 წლის მაისში თბილისში იქნა მოვლენილი გენერალი კნორინგი, რომელსაც ევალებოდა გაერკვია ორი საკითხი: 1) შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელ სამეფოდ არსებობა? და 2) რუსეთის იმპერიასთან შეერთება შეესაბამებოდა თუ არა ქართველი ხალხის ნებას? კნორინგმა საქართველოში სულ რაღაც 22 დღე დაჰყო და შემდეგ პეტერბურგში დაბრუნდა. მისი ოფიციალური ანგარიშით ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ იარსებებდა, ხოლო რუსეთთან შეერთება ქართველი თავად-აზნაურობისა და ხალხის საერთო სურვილი იყო. “სინამდვილეში კი, – აღნიშნავს ლ. მაგაროტო, – გლეხთა და თავად-აზნაურთა მრავალრიცხოვანი აჯანყებები, რომლებმაც 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცხადებული ანექსიის შემდეგ მთელ ქვეყანაში იფეთქეს, და სხვადასხვა შეთქმულებები, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია... 1832 წლის შეთქმულება, დამაჯერებლად ცხადყოფენ რომ გენერალი კნორინგის დასკვნა სრულიად უმართებულო და არსებითად პოლიტიკური და პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახევი” (გვ. 129-130).

განსახილველ მონოგრაფიაში გვხვდება ცალკეული უზუსტობები. მაგალითად, თამარ მეფის პირველი ქმარი იური, წოდებულია როგორც “ბოგოლუბსკი” (გვ. 18). სინამდვილეში წოდება “ბოგოლუბსკი” ეკუთვნის იურის მამას, ვლადიმერ-სუზდალის მთავარს ანდრეის, და წარმოდგება მისი რეზიდენციის სახელწოდებიდან – ბოგოლუბოვო. ლიტერატურაში ეს წოდება ზოგჯერ ანდრეის ვაჟზე – იურიზეც გადმოაქვთ, რაც მძიმე შეცდომად არ ჩაითვლება, მაგრამ თუ საკითხს მკაცრად მივუდგებით – არასწორია.

თბილისის აღებამდე, ამიერკავკასიაში აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაპყრობილ ქალაქებს შორის მოხსენიებულია შუშა (გვ. 90). სინამდვილეში გამაგრებული ქალაქი შუშა ალყაშემორტყმული იყო ირანელების მიერ, მაგრამ მისი აღება იმჯერად ვერ მოხერხდა. შუშა აღა-მაჰმად-ხანმა დაიკავა მხოლოდ ამიერკავკასიაში მეორე ლაშქრობის დროს, 1797 წელს, და იქვე იქნა მოკლული შეთქმულთა მიერ.

წიგნის მე-15 გვერდზე აღნიშნულია, რომ XVIII ს-ში რუს მწერლებს ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოზე. “მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, – წერს ავტორი, – არ უცდიათ ამ მხარის არა თუ გაცნობა და შეცნობა, არამედ თუნდაც ლიტერატურული და მხატვრული მნიშვნელობის მინიჭება” (გვ. 15). იგივე აზრია გამეორებული 81-ე გვერდზე. მართალია, აქ საუბარია მხოლოდ მხოლოდ მწერლებსა და ინტელიგენციაზე, მაგრამ მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ რუსეთში საერთოდ არ ჰქონდათ ინტერესი კავკასიისადმი. სინამდვილეში ეს ასე არ არის. უკვე XVI ს-დან, როდესაც იწყება მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შეღწევა კავკასიაში, რუსეთის სათანადო სამსახურები დაწვრილებით ინფორმაციას აგროვებდნენ ამ მხარისა და მისი მოსახლეობის შესახებ. მაგალითად, XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში მოვლენილ რუსეთის ელჩობებს ევალებოდათ გაეგოთ თუ რა ურთიერთობებში იყო ესა თუ ის ქართული სახელმწიფო სხვა სამეფო-სამთავროებთან, დაღესტანთან, ირანთან, ოსმალეთთან. ხომ არ იყო მოსალოდნელი ომი რომელიმე მეზობელთან, ან რაიმე

მოლაპარაკება ხომ არ წარმოებდა, ხოლო თუ წარმოებდა რა საკითხზე. ელჩებს უნდა შეეგროვებინათ აგრეთვე სტატისტიკური ხასიათის მასალა, აღეწერათ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ფართობი, ბუნებრივი პირობები, გაეგოთ მოსახლეობის რაოდენობა, მისი პოლიტიკური განწყობილებები, ციხე-ქალაქების რიცხვი, განვითარებულია თუ არა სოფლის მეურნეობა, როგორი მოსავალი მოდის, რა დონეზეა ვაჭრობა-ხელოსნობა, ვისთან ვაჭრობენ და რითი ვაჭრობენ, რა საქონელია ძვირი, და რა იაფი, რამდენი მოლაშქრე ჰყავთ, როგორ არიან ისინი აღჭურვილები და ა.შ. სპეციალური ინსტრუქციები დიპლომატებს საგანგებოდ აფრთხილებდნენ, რომ ყველა ამ და სხვა საკითხებზე ზუსტი და ამომწურავი ცნობები შეეგროვებინათ. დაგროვილი ინფორმაცია სახელმწიფო არქივებში ინახებოდა.

XVI-XVII სს-ის კავკასიის მოსკოვური შესწავლა, XVIII ს-ში იმპერიის “აკადემიურმა” კავკასიისმცოდნეობამ ჩაანაცვლა (მაგ., გმელინის, გიულდენშტედტის, პალასის ექსპედიციები და სხვ.). კავკასიის მონაპირე რუსი გუბერნატორები და მხედართუფროსები სისტემატურად აგროვებდნენ სადაზვერვო ცნობებს კავკასიის ქვეყნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სხვა საკითხებთან ერთად მათ აინტერესებდათ ინფორმაცია გზების შესახებ და “ვარგა თუ არა ეს გზები ჯარების გასატარებლად”. ამრიგად, როგორც ვხედავთ, არათუ XVIII ს-ში, არამედ XVI-XVII სს-იც რუსეთში კავკასიის აქტიური შესწავლა მიმდინარეობდა.

ზემოაჩვენების გარდა კიდევ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, მაგრამ ეს წვრილი ხარვეზები, მთლიანობაში, წიგნის საერთო დონეზე გავლენას ვერ ახდენენ. განხილული ნაშრომის სახით ჩვენ ხელთ გვაქვს საყურადღებო მონოგრაფია, რომელიც იტალიელ მკითხველს რეალისტურ სურათს უზატავს ფეოდალური საქართველოს უკანასკნელი პერიოდისა და მისი რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შესახებ. წიგნს, უეჭველია, ინტერესით მიიღებს ქართველი მკითხველიც (ქართული თარგმანი ეკუთვნის სალომე კენჭოშვილს), ვინაიდან აღნიშნული ეპოქის ამსახველი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა საკმაოდ მწირია.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ მონოგრაფიას ერთვის სათანადო დოკუმენტური მასალა, რაც ამდიდრებს წიგნს და ამლიერებს მის დამაჯერებლობას. ამ დოკუმენტებიდან სპეციალისტებისათვის ზოგი ცნობილია, მაგრამ ფართო მკითხველისათვის მათი ხელახალი გამოქვეყნება უთუოდ საჭირო იყო, ზოგი დოკუმენტი კი თვითონ ბ-ნი მაგაროტოს მიერ არის მოძიებული იტალიის არქივებში და პირველად შემოდის ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში.

*პირველად გამოქვეყნდა ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალში “კადმოსი”,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009, #1. გვ. 347-353.*

-
1. З.Д. Авалов. Присоединение Грузии к России. Санкт-Петербург, 2009. С. 142.
 2. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. თბ., 1989. გვ. 108.

3. მაგალითად, იხ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I. თბილისი, 1958. გვ. 387.
4. თუ რა გულწრფელად სწამდათ ქართველებს რუსეთის უანგარო დახმარებისა, იქიდანაც მოჩანს, რომ რუსების მიერ დანაპირების აუსრულებლობა ისევ თავის თავს დააბრალეს. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანის აზრით, პეტრე დიდმა თავის მემკვიდრეებს უანდერძა “რჯულის გულისათვის” დახმარებოდნენ საქართველოს. “მას აქეთ ვინც ხელმწიფენი დასხდნენ რუსეთისა მპყრობლად, იმათაც მოინდომეს, რომ პეტრე ორბელიანის ანდერძს ვერ მოშლიდნენ, მაგრამ ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფებოდნენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს” (პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981. გვ. 222).
5. სტამბოლში ამ ხელშეკრულებას განიხილავდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს გადაქცევას ოსმალთა იმპერიის ვასალურ სახელმწიფოდ. ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ არ ცნო 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის კანონიერება.
6. ყირიმის შეერთებამ რუსეთს ხელები გაუხსნა კავკასიაში აქტიური მოქმედებისათვის. ისტორიკოსი ო. მარკოვა ამის შესახებ წერს: “ყირიმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე რუსეთი ცდილობდა არ გამოეწვია თურქეთის მხრიდან ეჭვი და უკმაყოფილობა; რუსი დიპლომატები ისე იქცეოდნენ, თითქოს მათ კავკასიის საქმეები არ აღელვებდათ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის დადებისთანავე კი რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიაში იწყება ყირიმისა და კავკასიის საკითხების საბოლოო გადაწყვეტის მოსამზადებელი პერიოდი” (О.П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1966. С. 157).